

შპს „სმაილი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სმაილის“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2019 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

დავით დოლიძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სმაილის“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულიაა ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2019 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

დავით დოლოძე



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
დასკვნა	5
დასკვნის საფუძველი.....	5
ხელმძღვანელობის და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მართვის უფლებამოსილების მქონე პირების პასუხისმგებლობები.....	6
აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	9
2017 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	10
2017 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	10
2017 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ზოგადი ინფორმაცია	12
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	12
განცხადება შესაბამისობის შესახებ.....	12
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.....	13
ფული და ფულის ეკვივალენტები	14
ამონაგების აღიარება	14
ძირითადი საშუალებები	14
არამატერიალურ აქტივები.....	15
აქტივების გაუფასურება.....	15
ოჯარა.....	16
ფრანაიზი.....	16
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	17
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
სავაჭრო ვალდებულებები.....	17
ბანკის სესხები და საბანკო გარანტიები	17
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.....	17
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის.....	18
1. ამონაგები.....	18

2. სხვა შემოსავალი.....	19
3. ფინანსური დანახარჯები	19
4. დაბეგვრამდე მოგება.....	20
5. თავის მხრივ ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:.....	20
6. მოგების გადასახდის ხარჯი	21
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	22
9. ძირითადი საშუალებები.....	22
10. არამატერიალური აქტივები.....	24
11. გადავადებული გადასახადი.....	25
12. ბანკის სესხი და საბანკო გარანტია.....	26
13. სავაჭრო ვალდებულებები.....	27
14. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები.....	27
15. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება	27
16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები.....	28
17. კაპიტალი	28
18. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	29
19. პირობითი ვალდებულებები.....	29
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29
21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	29
22. ფინანსური რისკები.....	29
23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა

შევამოწმეთ შპს „სმაილი“ (შემდგომში „კომპანიის“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას და ფულის ნაკადების ანგარიშგებას, ამ დღეს დასრულებული წლისთვის, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნებს და სააღრიცხვო პოლიტიკას.

ჩვენი მოსაზრებით, თანდართული ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად წარმოადგენს, ყველა არსებით ასპექტში, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, მის ფინანსურ მაჩვენებლებს და ფულადი სახსრების მოძრაობას, ამ დღეს დასრულებული წლისთვის, „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების” (ასს) (ISAs) მიხედვით. ჩვენი მოვალეობები ამ სტანდარტების მიხედვით შემდგომ აღწერილია ჩვენი მოხსენების იმ განყოფილებაში, რომელიც ეხება აუდიტორის მოვალეობებს ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს” (პბეკ კოდექსი) (IESBA code) მიხედვით, ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც შეეხება ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარის და სათანადო საფუძველს ქმნის ჩვენი დასკვნის ჩამოყალიბებისათვის.

სხვა ინფორმაცია რომელიც ასახულია კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის

ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მართვის უფლებამოსილების მქონე პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარმოდგენაზე მსს ფასს (IFRS for SMEs) შესაბამისად და იმ შიდა კონტროლზე, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რომელიც არ შეიცავს არასწორ მასალას თაღლითობისა თუ შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა, რომ მუშაობა განაგრძოს, როგორც მოქმედმა ფირმამ, სათანადოდ ასახოს მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს აღრიცხვა მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, თუ ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ფუნქციონირების შეწყვეტა ან ამის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა არ გააჩნია.

მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობაა ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა მივიღოთ გონივრული დასაბუთება, იმასთან დაკავშირებით, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება, მთლიანობაში, არსებით უზუსტობებს, თაღლითობისა თუ შეცდომის გამო და მოვამზადოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც შეიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული დასაბუთება მტკიცებულების მაღალ დონეს წარმოადგენს, მაგრამ ეს არაა გარანტია, რომ ასს-ს (ISAs) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს მასალის უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ მათ, ცალ-ცალკე, ან მთლიანობაში, შესაბამისად, შეუძლია ზეგავლენის მოხდენა მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულია ამ ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

ასს-ს (ISAs) შესაბამისად წარმოებულ აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის წარმოების დროს. ჩვენ აგრეთვე:

- განვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების მასალის არსებითი უზუსტობის რისკებს, წარმოშობილია ის თაღლითობის თუ შეცდომის გამო, აუდიტის პროცედურებს ვაწარმოებთ ამ რისკების შესაბამისად და ვიღებთ

აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისია ჩვენი მოსაზრების საფუძვლის ჩამოყალიბებისათვის და შეესაბამება მას. თაღლითობის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომობისაგან წარმოშობილი უზუსტობის არ გამოვლენის რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება დაკავშირებული იყოს შეთქმულებასთან, გაყალბებასთან, განზრახ უმოქმედობასთან, არასწორად წარმოდგენასთან ან შიდა კონტროლის თავის არიდებასთან.

- ვერკვევით შიდა კონტროლის პროცედურებში, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტთან, რათა შეიქმნას გარემოებების შესაბამისი აუდიტის პროცედურები, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვის გონივრულობასა და ხელმძღვანელობის მიერ შესაბამისი ინფორმაციის ასახვას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების მიზანშეწონილობის შესახებ და მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არსებობს თუ არა არსებითი ბუნდოვანება იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმის შესახებ, კომპანიას შეუძლია თუ არა ფუნქციონირების გაგრძელება მოქმედი საწარმოს სახით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი ბუნდოვანება, მაშინ აუცილებელია, რომ ყურადღება გავამახვილოთ ჩვენს აუდიტორის ანგარიშში, შესაბამისი ინფორმაციაზე, ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადექვატურია, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტორის მოხსენების თარიღამდე. თუმცა, მომავალში განვითარებულმა მოვლენებმა ან პირობებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც მოქმედი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ, თუ რამდენად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთო წარმოდგენა, სტრუქტურა და შინაარი, შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების კეთილდინდისიერად ასახვის მოთხოვნებს.
- ვიღებთ აუდიტის საკმარის და სათანადო მტკიცებულებებს, კომპანიაში არსებული საწარმოების და ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ. პასუხისმგებელი ვართ აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

კომუნიკაციას ვამყარებთ მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, უკავშირდება აუდიტის დაგეგმვას და მასშტაბსა და დროის შერჩევას და მნიშვნელოვან აუდიტორულ აღმოჩენებს, მათ შორის, შიდა კონტროლში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებს, რომლებიც გამოვავლინეთ აუდიტის წარმოების დროს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

2018 წ. 31 დეკემბერს დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს.

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „არბიტრანსის“ სახელით

მმართველი პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

05.11.2019

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

2018 წ. 31 დეკემბერს დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს.

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „არბიტრანსის“ სახელით

მმართველი პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)



05.11.2019



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

		2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
მიმდინარე აქტივები	შენიშვნები		
ფულადი სახსრები	18	365,694	1,904,659
საეაქრო და სხვა მოთხოვნები	7	1,323,412	985,017
მოთხოვნები ბანკის მომართ			312,158
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	153,632	6,052,890
წინასწარ გადახდილი ხარჯები		1,601	
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,844,339	9,254,725
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	972,562	955,849
არამატერიალური აქტივები	10	20,278	503,438
სულ გრძელვადიანი აქტივები		992,840	1,459,287
სულ აქტივები		2,837,180	10,714,011
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საეაქრო ვალდებულებები	13	3,770,613	9,970,127
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება			157,709
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის	14	5,022	5,022
გადასახდელი ხელფასები	15	20,297	49,443
ბანკის სესხი	12	4,039,479	4,372,176
სხვა ვალდებულებები		507,782	
სულ ვალდებულებები		8,343,192	14,554,477
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	300	300
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-5,506,312	-3840766
სულ კაპიტალი		-5,506,012	-3,840,466
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,837,180	10,714,011

შპს „სმაილის“ დირექტორი
დავით დოლიძე

13-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

		2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
მიმდინარე აქტივები	შენიშვნები		
ფულადი სახსრები	18	365,694	1,904,659
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,323,412	985,017
მოთხოვნები ბანკის მომართ			312,158
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	153,632	6,052,890
წინასწარ გადახდილი ხარჯები		1,601	
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,844,339	9,254,725
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	972,562	955,849
არამატერიალური აქტივები	10	20,278	503,438
სულ გრძელვადიანი აქტივები		992,840	1,459,287
სულ აქტივები		2,837,180	10,714,011
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საეაჭრო ვალდებულებები	13	3,770,613	9,970,127
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები			157,709
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის	14	5,022	5,022
გადასახდელი ხელფასები	15	20,297	49,443
ბანკის სესხი	12	4,039,479	4,372,176
სხვა ვალდებულებები		507,782	
სულ ვალდებულებები		8,343,192	14,554,477
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	300	300
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-5,506,312	-3840766
სულ კაპიტალი		-5,506,012	-3,840,466
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,837,180	10,714,011

შპს „სმაილის“ დირექტორი
დავით დოლიძე




13-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2018 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი

მოგების ანგარიშგება

		2018	2017
	შენიშვნა		
ამონაგები	1	21,227,312	24,342,956
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	-18,542,901	-19,867,012
საერთო მოგება		2,684,412	4,475,944
სხვა შემოსავალი	2	659,530	322,083
მიწოდების ხარჯები	4	-348,259	-592,478
ადმინისტრაციული ხარჯები	6	-2,779,437	-4,255,512
სხვა ხარჯები(მასალების ჩამოწერა)	4	-49,051	-252,126
სესხის პროცენტი	4	-488,458	-515,426
სხვა არსაოპერაციო ხარჯი		-624,957	
მოგება ზარალი საკურსო სხვაობიდან	4	-277,285	123,629
მოგება დაბეგვრამდე		-1,223,505	-693,884.98
მოგების გადასახადის ხარჯი	7		
მიმდინარე წლის მოგება		-1,223,505	-693,886
საგარანტიო ანარიცხი			2,868
ბრენდ ნეიმის აქტივად აღიარება/ჩამოწერა	10	-442,041	442,041
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-3,840,766	-3,591,789
დივიდენდები			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		-5,506,312	-3,840,766

2018 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	300	-3,591,789	-3,591,489
წლის შემოსავალი		-248,977	
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	300	-3,840,766	-3,840,466
წლის შემოსავალი		-1,665,546	
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	300	-5,506,312	-5,506,012

2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი	17,963,044	26,817,099
სულ ნედლეულის გასავალი:	15,428,301	18,588,248
საოპერაციო ფულის გასავალი	2,520,998	7,599,994
ფულის ნაშთი საოპერაციო საქმიანობიდან	13,745	628,856
შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან		-226,616
ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხა		510
ძირ. საშუალებების შეძენა ნაღდ ფულზე		227,126
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		-226,616
ნაშთი საოპერაციო და საინვესტ. საქმიანობიდან	13,745	402,241
შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან		8,700,038
გასავალი საფინანსო საქმიანობიდან	838,500	8,869,506
წმინდა ფულის საფინანსო საქმიანობიდან	-838,500	-169,468
სულ წმინდა ფული	-824,755	232,773
საწყისი ნაშთი სალარო და ბანკი	1,904,658	1,625,465
პერიოდის სალდო	-824,755	232,773
საკურსო სხვაობის ეფექტი	-170,107	46,420.00
სხვა ხარჯები	-544,102	
საბოლოო ნაშთი სალარო და ბანკი	365,694	1,904,658

ზოგადი ინფორმაცია

შპს „სმაილი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №24,

„სმაილი“ არის მსხვილი მრავალარხიანი სამომხმარებლო ელექტრო ტექნიკის საცალო მოვაჭრე, დაარსებული საქართველოში. იგი გაყიდვებს ახორციელებს რამოდენიმე მაღაზიის მეშვეობით. „სმაილი“ თავის მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქტების ოპტიმალურ კომბინაციას, დამხმარე მოწყობილობებსა და სერვისებს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის ბოლოსთვის მხარეებს შორის განსაზღვრული აქციები მოცემულია ცხრილში:

	2018	2017
დავით დოლიძე	19 %	19 %
მზევინარ დოლიძე	30 %	30 %
შპს „ალბა კაპიტალი“	51 %	51 %

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. რადგანც პირველად ხდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს

ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

				აშშ დოლარი	ევრო
კურსი	2018	წლის	31	2.6766	3.0701
დეკემბრისთვის					
კურსი	2017	წლის	31	2.5922	3.1044
დეკემბრისთვის					

განმარტებები

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

მიღებული კრედიტ ნოტების აღიარება ხდება ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში დათქმული პირობიდან გამომდინარე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მომწოდებელთან შედარებისას ფიქსირდება დავალიანების ნაკლებობა და დავალიანების შემცირების მიზეზი მომწოდებელს არ აქვს ახსნილი, ან როდესაც კრედიტ-ნოტი მიღებულია ბონუსის სახით კრედიტ ნოტიდან შემოსავალი ემატება საოპერაციო შემოსავალს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. კომპანია საანგარიშგებო პერიოდის წინა პერიოდებში იყო ზარალიანი, ამიტომ გასულ პერიოდზე გადავადებული გადასახადი არ ერიცხება. 2016 წელი კომპანიამ კი შეძლო მოგებით დაემთავრებინა, მაგრამ წინა წლების ზარალი იძლევა საშუალებას რომ მოგების გადასახადი გადახდილი არ ყოფილიყო. 2017 წელს მოგების გადასახადად დარიცხულია მხოლოდ საგადახადო კოდექსის მიერ განსაზღვრული ბეგარა, რომელიც გამოწვეულია ზოგიერთი ფინანსური ხარჯის საგადახადოს მიერ არ აღიარებით. რაც შეეხება გადავადებულ გადასახადს, მის სტანდარტებზე გადასვლის თარიღიდან, 2017 წლის 1 იანვარისთვის უკვე მოქმედებდა ესტონური მოდელი რომლის შინაარსიდან გამომდინარე დროებითი სხვაობა აღარ წარმოიშობა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები, საოფისე და სამაღაზიე მოწყობილობა 15% პროცენტი, ხოლო იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა 20% პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით განიკვეთით 17%. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპანია 2018 წლის განმავლობაში იღებდა შემოსავლს ფრანჩიზიდან. 2018 წლის ბოლოსთვის შეწყდა ფრანშიზიდან შემოსავლის მიღება და ამიტომ საჭირო გახდა ამ არამატერიალური აქტივის ჩამოწრა.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური რაზა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლომატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს “სმაილი” არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფრანჩაიზი

კომპანია ახორციელებს სავაჭრო ნიშნის და მასთან დაკავშირებული ფრანჩაიზის მიქირავებას სხვა კომპანიებზე. ზემოდ ხსენებული როიალიტი აღიარდა არამატერიალურ აქტივად 2017 წლის ბოლოს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და საბანკო გარანტიები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შაბანკო გარანტიების საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის

ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

კომპანიის მიერ გაყიდულ საქონელს ახლავს გარანტია, რომ მას საგარანტო ვადის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. გარანტია კი გაცემულია შპს „სმაილის“ მიერ მაგრამ საგარანტო მომსახურება ხორციელდება მწარმოებელი კომპანიის მიერ ავტორიზებულ სერვის ცენტრებში და შესაბამისად კომპანიის მიერ ასეთი ტიპის მომსახურების ხარჯად აღიარება არ ხდება. რაც შეეხება უშუალოდ სმაილის მიერ გაცემულ გარანტიას ასეთ შემთხვევაში საქონლის წუნის გამოსწორებას, ან გამოცვლას ჯგუფი ახორციელებს მყიდველზე გაცემული საგარანტო ფურცელის პირობების შესაბამისად. როდესაც ამონაგები აღიარდება, შეიქმნება ანარიცხები საგარანტო ვალდებულების შეფასებული საგარაუდო დანახარჯებისათვის.

შენიშვნები

1. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს რეალიზაციიდან, როიალტიდან(ფრანჩიზა) და ბონუსების და წახალისების მიზნით მიღებულ კრედიტ ნოტებს.

	2018	2017
	ლარი	ლარი
საქონლის გაყიდვა	20,203,021	23,215,468
შემოსავალი კრედიტ ნოტებიდან	977,425	1,057,336
როიალტი – სავაჭრო ნიშანი და ფრანჩიზა	46,866	70,152
სულ	21,227,312	24,342,956

2. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს 2017 და 2018 წლებში დეპოზიტზე თანხის გათავსებიდან მიღებულ შემოსავლებს, აგრეთვე ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან, სასაწყობო ფართისა და სტრანსპორტო საშუალებების გაქირავების შედეგად მიღებულ შემოსულობას. აგრეთვე შემოსულობას დაზღვევის ანაზღაურებიდან და დანაკლისის კომპენსაციას

	2018 ლარი	2017 ლარი
არაფინანსური იჯარა	246,508	167,041
ფინანსური შემოსავალი.	303,342	14,357
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია.	71,338	42,805
სხვა (დაზღვევიდან შემოსავალი, დანაკლისის კომპენსაცია)	38,342	
სულ	659,530	322,083

3. ფინანსური დანახარჯები

	2018 ლარი	2017 ლარი
ბანკის სესხისა და საბანკო გარანტიის პროცენტი	488,458	524,334
მარაგების დაზღვევა	7,961	6,304

4. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

	2018 ლარი	2017 ლარი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-18,542,901	-19,867,012
მიწოდების ხარჯები	-348,259	-592,478
ადმინისტრაციული ხარჯები	-2,779,437	-4,342,232
სხვა ხარჯები	-674,007	-165,407
სესხის პროცენტი	-488,458	-515,426
მოგება ზარალი საკურსო სხვაობიდან	-277,285	123,629
	-23,110,347	-25,358,926

5. თავის მხრივ ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2018 ლარი	2017 ლარი
შრომის ანაზღაურება	581,541	1,100,416
სატრანსპორტო ხარჯები	1,976	24,854
საწყობის ხარჯი	19,625	92,555
საიჯარო ქირა	1,181,955	1,512,387
ქონების გადასახადი	3,282	10,447
კომუნიკაციის ხარჯები	131,942	176,223
დაცვის მომსახურება	12,655	15,829
საწვავის ხარჯი	104	593
ა/მანქანების ხარჯი		809
სამეურნეო ხარჯი	29,818	28,666
დაზღვევა	7,961	8,307
საკანცელარიო ხარჯი		1,651

მიმდინარე ხარჯები (ბეჭდის ხარჯი, ერთჯერადი ცელოფნები)	58,885	35,576
შეკეთება/მონტაჟი	83,440	70,419
შიდა ტრანსპორტირება	127	853
რემონტი	875	10,155
მომსახურების ღირებულება	18,094	40,274
ცვეთა და ამორტიზაცია	338,475	295,175
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	0	4,853
ბანკის საკომისიო ხარჯი	251,544	694,737
ტექნიკური მომსახურება	111	91,630
საფოსტო მომსახურების ხარჯი		2,001
კონვერტაციის ხარჯი		37,102
წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინება	425	
საკონსულტაციო ხარჯი	44,027	
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	12,576	
	2,779,437	4,255,512

6. მოგების გადასახდის ხარჯი

	2018	2017
	ლარი	ლარი
მიმდინარე გადასახადი	0	0
გადავადებული გადასახადი	(0)	(0)

2017 წლებში წინა წლების ზარალის გამო და საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე (მოქმედებს 2017 წლიდან) მოგების გადასახადი უნდა იქნას გადახდილი დივიდენდი გაცემის დროს და საგადასახადო კოდექსის თვალსაზრისით დაუდოკუმენტირებელი ან ნორმის ზევით გაწეული ხარჯის შემთხვევაში.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
	ლარი	ლარი
სავაჭრო დებიტორები	957,410	796,297
სხვა მოთხოვნები	366,002	500,880
სულ	1,323,412	1,297,177

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2018	2017
	ლარი	ლარი
გასაყიდი საქონელი	153,632	5,780,837
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	0	42,166

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად. რომლების გაერთიანებულია ჯგუფებში 1 ჯგუფში შედის მსუბუქი ავტომობილების კატეგორია, მე-2 ჯგუფში შედის ავეჯი ოფისისათვის, ელექტრონული მოწყობილობა, კომპიუტერი, მაღაზიის

აღჭურვილობა, სარეკლამო მოწყობილობა და სტენდი., ხოლო მესამე ჯგუფში შედის იჯარით აღებული კი ქონების კეთილმოწყობა.

შინაარსი	1 , 2 ჯგუფი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
საბალანსო ღირებულება დასაწყისში 2017 წ	866782	303507	1170289
საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის 2017 წ	830718	125129	955847
შემოსვლა 2017წ.	111372	108752	220124
გასვლა 2017 წ.	5924	135044	140968
ცვეთა პერიოდის 2017 წ.	236530	52207	288737
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის დასაწყისში	387429	175429.14	562858.14
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის ბოლოს	448478	262168.63	710646.63
საბალანსო ღირებულება 2018 წლის დასაწყისში	830718	125129	955847
საბალანსო ღირებულება 2018 წლის ბოლოს	972562.03	0	972562.03

შემოსვლა 2018	367511.65	105679.21	473190.86
გასვლა 2018	0	0	0
ცვეთა პერიოდის 2018	225667.56	76912.68	302580.24
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის ბოლოს	448478	262168.63	710646.63
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის დასაწყისში	674145.29	339081.31	1013226.6

10. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა: 2017 წლამდე არამატერიალური აქტივი შედგენდა საღრიცხო პროგრამა 1C მაღაზია საწყობი და 1C ბუღალტერიას. 2017 წლის 30 დეკემბერს შეძენილი იქნა პროგრამა Qlik Sense Enterprise Production Site – TOKEN, რომელიც გამიზნულია მენეჯერულ აღრიცხვაში მონაცემებისა და ინფორმაციის სწრაფად დამუშავების უზრუნველყოფისთვის. ზემოთ ხსენებული პროგრამა გაყიდული იქნა 2018 წელს.

კომპანია 2016 წლიდან იღებდა შემოსავალს ფრანჩაიზიდან, ფრანჩაიზი 2017 წლის ბოლოს აღიარდა არამატერიალურ აქტივად. იგი აკმაყოფილებს მსს ფასს-ის მიხედვით აღიარების კრიტერიუმებს: არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. ასეთი აქტივი იდენტიფიცირებადად მიიჩნევა მაშინ, როდესაც: (ა) განცალკევებადია, ე.ი. შესაძლებელია მისი განცალკევება, ან გამოყოფა

საწარმოდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზიით ან იჯარით გაცემა, ან გაცვლა ცალკე, ან მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან, აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად; ან (ბ) წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა ამ უფლებების გადაცემა, ან განცალკევება საწარმოსგან ან სხვა უფლებებისა და ვალდებულებებისგან. 2019 წლიდან აღარ აღინიშნებიდო შემოსავალი ფარანჩიუაზნ და ამიტომ მოხდა ამ არამატერიალური აქტივის ღირებულების ჩამოწერა

ნაშთი 2017 წლის ბოლოს	548167,4
დაგროვილი ამორტიზაცია 01.2017 წელი	38304,18
2017 წლის ამორტიზაცია	6424,8
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2017 წ.	44728,98
არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2017	503438,42
ნაშთი 2018 წლის ბოლოს	503438,42
დაგროვილი ამორტიზაცია 01.2018	44728,98
შემოსვლა 2018	910
გასვლა 2018	472069,9
2018 წლის ამორტიზაცია	12000
დაგროვილი ამორტიზაცია 2018 წლის ბოლოს	56728,98
არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება	
2018 წლის 31 დეკემბერს	20278,72

11. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახადის ვალდებულება არ ერიცხება

12. ბანკის სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულებები და საბანკო გარანტია ვთბ ბანკში. 2017 წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა სასესხო ხელშეკრულების განახლება, რომელსაც სასესხო განაკვეთის შეცვლა არ მოყოლია. ცხრილში გთავაზობთ 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ ვითარებას და წლის განმავლობაში დარიცხულ პროცენტს სესხზე და საბანკო გარანტზე. საბანკო გარანტიის დარიცხული პროცენტი შესულია საოპერაციო ხარჯებში

ტიპი	საბანკო გარანტია	საბანკო გარანტია	საკრედიტო ხაზი	სესხი
გაცემის თარიღი	30.05.2016	30.05.2016	18.10.2017	18.10.2017
დასრულების თარიღი	30.05.2019	30.05.2019	25.10.2018	25.10.2018
%	3	3	12	10
ვალუტა	USD	EUR	GEL	USD
თანხა	105 606.85	6 389.48	3840 775	205 000
ძირი თანხა	105 606.85	6 389.48	3840 775	205 000
დარიცხული %				
2017 წელს სესხის	3519.52	191.15		
ვალუტაში				
დარიცხული %	8190.11	593.41	464244	51306
2017 წელს ლარში				
უზრუნველყოფა	1.ბლოკირებული თანხა. 2.უძრავი ქონება. 3. მოძრავი ქონება	1.ბლოკირებული თანხა. 2.უძრავი ქონება. 3. დეპოზიტი	1.უძრავი ქონება. 2. მოძრავი ქონება	1.უძრავი ქონება. 2. მოძრავი ქონება

2018 წელში კომპანიას აღარ აქვს საბანკო გარანტია. 2018 წლის განმავლობაში ხდება 2017 წლიდან წარმოქმნილი სასესხო ვალდებულების ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვა. სესხზე დარიცხული პროცენტი შესულია საოპერაციო ხარჯებში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია სესხის ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვის 2018 წლის ჯამური მონაცემები

	ბანკის სესხი31.12.2017	გადახდა	გადაფასება	ბანკის სესხი 31.12.2018
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4,372,176.00	396,822.00	64,125.00	4,039,479.00
	გასახდელი პროცენტი31.12.2017	დარიცხული 2018	გადახდილი 2018	ნაშთი 31.12.2018
გადასახდელი პროცენტები		488,458	488,458	0

13. სავაჭრო ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 9,970,127 ლარს, რომელიდანც გამოსახულია უცხოურ ვალუტებში გამოსახულია 2 569 472 ლარი, 2016 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები იყო 8 773 996 ლარს, რომელიდანც გამოსახულია უცხოურ ვალუტებში გამოსახულია 3 221 630 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები 2018 წლის ბოლოს არის 3 770 998,62 გამოსახული ლარში

14. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

აუდიტორული შემოწმების შემდეგ 2017 წლის განმავლობაში საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხებად აღიარდა 9782 ლარი და უკუგატარებით გატარდა წინა 2016 წლის ანარიცხი 6914 ლარი. ზემოაღნიშნული ვალდებულება კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებად, რადგან გარანტია შემოიფარგლება თორმეტი თვით. პერიოდის საგარანტიო მომსახურების ხარჯები ჩართულია შეკეთება მონტაჟის ხარჯებში საგარანტიო ანარიცხი აღარ შეიქმნა 2018 წელი ხოლო ნაშთი აღიარდა ხარჯად

15. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

კომპანიის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება, რომელიც ეფუძნება მომსახურე პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებას შეადგენს: 2018 წლის ბოლოს შეადგენს 20296 ლარს (დაერიცხა 673187 ლარი , გაიცა 702334 ლარი). 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 49443 ლარს (დაერიცხა 1098106 ლარი, გადახილ იქნა 1074224 ლარი).

16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს რამდენიმე სამაღაზიო და სასაწყობო ფართი. იჯარის ხელშეკრულება საშუალო ვადაა ხუთი წელი, თუმცა ყოველი წლის ბოლოს შესაძლებელია „სმაილის“ მხრიდან იჯარის ხელშეკრულებიდან გამოსვლა. აქედან გამომდინარე აიჯარო ხელშეკრულების ვადად უნდა ჩაითვალოს ერთი წელი. ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა. 2018 წელს 1 182 215.03 და 2017 წელს 1 512 387.39 ლარი ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 2018 წელს 1 182 215.03 და 2017-ში 1 512 387.39 ლარს. წლის ბოლოს ჯგუფს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებების დაუფარავი ნაშთები, რომელთა დაფარვის ვადებია არ უგვიანსი მომდევნო თვე. საიჯარო ვალდებულებები ფიქსირდება 2018 წლის ბოლოს 0 (ნული) ლარი 2017 წლის ბოლოს 66,324.31 ლარი .

17. კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	2018 ლარი	2017 ლარი
საწესდებო კაპიტალი	300	300
განვლილი პერიოდის ზარალი	-3,840,766	-3,591,788
გაუნაწილებელი მოგება	-442,041	444,909
პერიოდის მოგება ზარალი	-1,223,505	-693,885
სულ საკუთარი კაპიტალი	-5,506,012	-3,840,464

18. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018 ლარი	2017 ლარი
ფულადი სახსრები საღაროში	375.24	172904.86
ფული საბანკო ანგარიშებზე	365 319.25	1732167.67
სულ:	365 694.49	1905072.53

19. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 21 ივნისს შპს "სმაილის" მიერ მოხდა შპს "ოქეის" (საიდ. ნომერი 204560901) შერწყმა.

21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციები არ ფიქსირდება

22. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენია: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, იმას რომ კომპანიას საგარანტიო უზრუნველყოფაში ჩადებული აქვს თანხა ვალუტაში და იმას რომ საბანკო დეპოზიტებზე თანხა ვალუტაშია განთავსებული, გამომდინარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისა ჩანს, რომ კომპანია შეიძლება დაუცველი იყოს სავალუტო რისკებისგან.

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა მნიშვნელოვანი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებული იყო აშშ დოლარსა და ევროში.

გთავაზობთ შესაბამის ნაშთების ცხრილს

2018 წელი

კურსი

2017 წელი

კურსი
31.12.2017

		31.12.2018		
ბანკი				
EUR	6,390.37	3.0701	48410.37	3.1044
USD	118,091.87	2.6766	218090.34	2.5922
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ვალუტაში				
EUR			1533.93	3.1044
USD	136,741.28	2.6766	190727.87	2.5922
მოკლევადიანი ვალდებულებები				
EUR	-6,382.92	3.0701	-30343.37	3.1044
USD	-206,989.79	2.6766	-960109.6	2.5922
სესხები				
USD	-205000	2.6766	-205000	
სააღდო				
EUR	7.45		19600.93	3.1044
USD	-157,156.64		-756291.39	2.5922
სულ ფინანსური ვალდებულებები(ლარი) --			2021307.668	

როგორც ნაშთებიდან გამომდინარე ჩანს თუნდაც 10% -იანმა საკურსი ცვლილებამ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პერიოდის მ/ზარალზე.

საკრედიტო რისკის კომპანია იმცირებს დილერებთან პროდუქციის ფასზე ცვლილებების შესახებ წინასწარი შეთანხმების საშუალებით.

ლიკვიდურობის რისკის შემცირება ხდება მარაგების ყოველთვიური ინვენტარიზაციის შედეგების და კონკურენტი კომპანიების ფასების ანალიზის გზით

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2019 წლის 25 სექტემბერს.

შპს „სმაილის“ დირექტორი
დავით დოლიძე

	31.12.2018			
ბანკი				
EUR	6,390.37	3.0701	48410.37	3.1044
USD	118,091.87	2.6766	218090.34	2.5922
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ვალუტაში				
EUR			1533.93	3.1044
USD	136,741.28	2.6766	190727.87	2.5922
მოკლევადიანი ვალდებულებები				
EUR	-6,382.92	3.0701	-30343.37	3.1044
USD	-206,989.79	2.6766	-960109.6	2.5922
სესხები				
USD	-205000	2.6766	-205000	
სააღდო				
EUR	7.45		19600.93	3.1044
USD	-157,156.64		-756291.39	2.5922
სულ ფინანსური ვალდებულებები(ლარი) --			2021307.668	

როგორც ნაშთებიდან გამომდინარე ჩანს თუნდაც 10% -იანმა საკურსი ცვლილებამ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პერიოდის მ/ზარალზე.

საკრედიტო რისკის კომპანია იმცირებს დილერებთან პროდუქციის ფასზე ცვლილებების შესახებ წინასწარი შეთანხმების საშუალებით.

ლიკვიდურობის რისკის შემცირება ხდება მარაგების ყოველთვიური ინვენტარიზაციის შედეგების და კონკურენტი კომპანიების ფასების ანალიზის გზით

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2019 წლის 25 სექტემბერს.

შპს „სმაილის“ დირექტორი

დავით დოლიძე



მმართველობითი ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა შპს „სმაილი“

ქ. თბილისი 2018

სარჩევი

ძირითადი საქმიანობა.....	3
ბაზრის კვლევა	3
სახელმწიფო რეგულაციები.....	3
დასაქმებულები.....	4
რისკები	4

ძირითადი საქმიანობა

შპს სმაილის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, აიტი ტექნიკის და მობილური ტელეფონების რეალიზაცია. კომპანია ახორციელებს ზემო აღნიშნული ტექნიკის როგორც იმპორტს აგრეთვე ადგილობრივი მომწოდებლებისგან საბითუმო შესყიდვას. იმპორტირებული და ადგილზე მიღებული საქონელი რეალიზდება როგორც შპს სმაილის საცალო მაღაზიებში, ასევე საბითუმო ვაჭრობის საშუალებით. შპს სმაილი არის მსოფლიოში ცნობილი ბრენდების იმპორტიორი, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ბრენდები: სამსუნგი, პანასონიკი, ინდეზიტი, სატურნი, დენონი, კანტონი და სხვა. 2018 წლის პირველ ნახევარში შპს სმაილს ქონდა 5 მაღაზია, რომელიც განლაგებულია ქ.თბილისში.

შპს სმაილმა 2018 წლის ივლისის თვეში შპს ამერიტექთან ერთად დააფუძნა შვილობილი კომპანია შპს იჯი გრუპი (50% წილი), რომელსაც მიყიდა მაღაზიებში და საწყობში არსებული სასაქონლო მარაგები და გადასცა მაღაზიები.

შპს სმაილი საბითუმო გაყიდვებს ახორციელებს 15 დილერის მეშვეობით, რომლებიც ძირითადად რეგიონებში საქმიანობენ. გათავაზობთ მსხვილი დილერების სიას: შპს „პეგას აუდიო ვიდეო“, შპს „მონტე“, შპს „ქება 2010“ და შპს VTM

ბაზრის კვლევა

შპს სმაილი მუდმივად ახორციელებს საქართველოში ტექნიკის ბაზრის მონიტორინგს. ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენცია იძულებულს ხდის მუდმივად შეისწავლოს კონკურენტების ფასები, შესთავაზოს მომხმარებელს უკეთესი მომსახურების პირობები, მოახდინოს რეაგირება ბაზრის ახალ მოთამაშეებზე და გაზარდოს ბრენდის მიმართ კლიენტების ლოიალობა. მიმდინარე ეტაპზე ბაზარზე ძირითადი მოთხოვნილებაა დაბალფასიანი და საშუალო დონის ხარისხის პროდუქციაზე. ლარის კურსის ცვალებადობამ და მოსახლეობის შემოსავლების შემცირება მთლიან ბაზარს უბიძგებს შემცირებულიყო ძვირადღირებული პროდუქციის წილი, შესაბამისად ძალიან გაიზარდა იაფფასიანი პროდუქცია. მთლიანობაში უკანასკნელ პერიოდში ბაზარი ხასიათდება მთლიანი მოცულობის შემცირებით, ამ ტენდენციას ხელი შეუწყო ბანკების მხრიდან განვადებების პირობების გამკაცრებამ. შესაბამისად განვადებების მოცულობა შემცირდა მკვეთრად, თითქმის 40 პროცენტით. მომდევნო პერიოდში ნაკლებად მოსალოდნელია აღნიშნული პროდუქციის მთლიანი ბაზრის მოცულობის ზრდა, შესაბამისად კომპანიას ორიენტაცია არსებული აქვს ექსტენსიურ ზრდაზე, ძირითადად რეგიონების ხარჯზე.

სახელმწიფო რეგულაციები

აღნიშნული სფეროში სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის განსაკუთრებული რეგულირება არ არსებობს, საქმიანობა არ საჭიროებს ლიცენზირებას და რაიმე სახის მოსაკრებლის გადახდას. სახელმწიფო გადასახადების გარდა რაიმე სახის ბეგარა ან გადასახდელი არ მოითხოვება. 2019 წლიდან ხორციელდება საპენსიო რეფორმა, რომლის დროსაც კომპანიას დაეკისრება თანამშრომლებისთვის ხელფასების 2 % გადახდა საპენსიო ფონდში. ზოგადად ბაზარზე შეღწევადობა მაღალია და რაიმე ბარიერები არ არსებობს ახალი მოთამაშის შემოსვლის.

სახელმწიფოს მხრიდან უახლოეს წარსულში დაიწყო საკანონმდებლო ბაზის შექმნა ელექტრონული ტექნიკის უტილიზაციის საკითხების რეგულირებისათვის.

გარემოს დაცვითი საკითხები მოსალოდნელია რომ გამოყენებული იქნება მსოფლიოში გავრცელებული ერთ ერთი მეთოდი რომელიც გულისხმობს რომ უტილიზაციის თანხები შეგროვებული იქნას მწარმოებლებისა და იმპორტიორების საშუალებით. აღნიშნული საკითხით უნდა დარეგულირდეს გარემოს დაცვითი საკითხები და მკვეთრად უნდა შემცირდეს გაფუჭებული ელექტრონული ტექნიკიდან გარემოზე ცუდი ზემოქმედება. გარდა აღნიშნულისა კომპანია სმაილი თავის მიმდინარე საქმიანობისას არ ახდენს ზეგავლენას გარემოზე.

დასაქმებულები

შპს სმაილში დასაქმებული იყო წლის განმავლობაში საშუალოდ 100 ადამიანი, საიდანაც 45 % ქალია. კომპანიაში თანამშრომლების მიღებისას გასაუბრების და ტესტების დროს არ ხდება იმის გამოკვლევა რა რელიგიური აღმსარებლობის და რა სექსუალური ორიენტაციისაა. კომპანია თანამშრომლებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს, რომელიც შესაბამისობაშია სამოქალაქო კოდექსთან. თანამშრომლებისთვის გარდა ფიქსირებული ხელფასებისა კომპანიაში მოქმედებს ბონუსური სისტემა, რომელის მეშვეობითაც ხდება წახალისება კარგი მუშაობისთვის. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ყოველწლიურად შედგენილი სქემის მიხედვით თანამშრომლები გადიან ტრენინგებს. აღნიშნული მიმართულია თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის უკეთესი პირობების შექმნისთვის და სერვისის გასაუმჯობესებლად.

2018 წლის მეორე ნახევარში მაღაზიების შვილობილ კომპანიასთან გადაცემასთან დაკავშირებით მოხდა თანამშრომლების განთავისუფლება შპს სმაილიდან და მიღებულ იქნენ შვილობილ კომპანიაში.

წლის ბოლოს შპს სმაილში ირიცხება ერთი თანამშრომელი და დირექტორი.

რისკები

კომპანია მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს გარე და შიდა რისკების განეიტრალებისთვის. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკის, ლიკვიდურობის რისკის, საბაზრო რისკის, კერძოდ საპროცენტო და უცხოური ვალუტის ცვლილების რისკები. ყველაზე მგძნობიარე არის უცხოური ვალუტის მკვეთრი ცვლილების რისკი, კომპანია დიდი ოდენობით იმპორტს ახორციელებს რომლის ღირებულებას იხდის უცხოურ ვალუტაში ხოლო შიგნით რეალიზაცია ხდება ქართულ ლარებში. აღნიშნული რისკის გასაანეიტრალებლად კომპანია იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს. კერძოდ არსებობს წინასწარი შეთანხმება დილერებთან სავალუტო რყევების შემთხვევებში ფასების კორექტირების შესახებ. ლიკვიდურობის რისკის გასაანეიტრალებლად ხდება მარაგებში არსებული საქონლის გასაყიდი ფასების საბაზრო ფასებთან შედარება და ანალიზი. ანალიზის შედეგები ზოგჯერ ეგზავნება მომწოდებელს რათა მან შეძლოს სხვადასხვა ტიპის კრედიტ ნოტის მომზადება ან ბაზარზე არსებული სიტუაცია გაითვალისწინოს შემდეგში მოწოდებული საქონლის საინვოისე ღირებულებაში. კომპანიის პოლიტიკა მიმართულია მუდმივად შეინარჩუნოს ფულადი სახსრების საკმარისი რაოდენობა რათა ვალდებულებების გასტუმრებისთვის არ შეიქმნას პრობლემა.

რისკების კარგად შესაფასებლად გთავაზობთ სხვადასხვა ფინანსურ კოეფიციენტებს.

	2018 წელი	2017 წელი
საერთო მოგების მარჟა	8.2%	18.4%

	2018 წელი	2017 წელი
ლიკვიდურობის კოეფიციენტები ლიკვიდურობა(მოკლ. აქტივები/ვალდ.)	0.22	0.64
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი მარაგების ბრუნვის პერიოდი(მარაგები/რ.პ.თ.*365)	0.20 3	0.22 111

სესხისა კოეფიციენტები		
საერთო მოგება	1663886	4475944
მოგება საპროცენტო ხარჯის და მოგების გადასახადის დაფარვამდე	-735 046	-178 459
ნასესხები სახსრების აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი	1,44	0.41

როგორც კოეფიციენტებიდან ფინანსური მახასიათებელი გაუარესებულია წინა წელთან შედარებით, თუმცა ეს იმიტომ მოხდა რომ კომპანიამ ფაქტიურად შეიცვალა საქმიანობის მოდელი თქვა რა უარი საცალო ვაჭრობაზე.

შპს სმაილი მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე. განვითარების ძირითადი მიმართულებაა გაიზარდოს რეალიზაციის არხები და არსებულ რეალიზაციის არხებში გაიზარდოს ეფექტიანობა. აღნიშნული გულისხმობს ახალი პარტნიორების მოძიებას, ასორტიმენტის ზრდას და გეოგრაფიული არეალის გაზრდას.

შპს „სმაილის“ დირექტორი
დავით დოლიძე

თარიღი: 25.09.2018

რისკების კარგად შესაფასებლად გთავაზობთ სხვადასხვა ფინანსურ კოეფიციენტებს.

	2018 წელი	2017 წელი
საერთო მოგების მარჟა	8.2%	18.4%

	2018 წელი	2017 წელი
ლიკვიდურობის კოეფიციენტები ლიკვიდურობა(მოკლ. აქტივები/ვალდ.)	0.22	0.64
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი მარაგების ბრუნვის პერიოდი(მარაგები/რ.პ.თ.*365)	0.20 3	0.22 111

სესხისა კოეფიციენტები		
საერთო მოგება	1663886	4475944
მოგება საპროცენტო ხარჯის და მოგების გადასახადის დაფარვამდე	-735 046	-178 459
ნასესხები სახსრების აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი	1,44	0.41

როგორც კოეფიციენტებიდან ფინანსური მახასიათებელი გაუარესებულია წინა წელთან შედარებით, თუმცა ეს იმიტომ მოხდა რომ კომპანიამ ფაქტიურად შეიცვალა საქმიანობის მოდელი თქვა რა უარი საცალო ვაჭრობაზე.

შპს სმაილი მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე. განვითარების ძირითადი მიმართულებაა გაიზარდოს რეალიზაციის არხები და არსებულ რეალიზაციის არხებში გაიზარდოს ეფექტიანობა. აღნიშნული გულისხმობს ახალი პარტნიორების მოძიებას, ასორტიმენტის ზრდას და გეოგრაფიული არეალის გაზრდას.

შპს „სმაილის“ დირექტორი
დავით დოლიძე



თარიღი: 25.09.2018